

დიდი მოცულობის მონაცემებში საჭირო ინფორმაციის ძებნის ანალიტიკური ინსტრუმენტები

მომხსენებლის *მაგდა ცინცაძე*^ა (*sylfaen*, ზომა 11, კურსირებული) მანანა ხაჩიძე,
მაია არჩუაძე, გელა ბესიაშვილი

ელ-ფოსტა: magda.tsintsadze@tsu.ge

^ა კომპიუტერულ მეცნიერებათა დეპარტამენტი,
ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა
ფაკულტეტი, თსუ, უნივერსიტეტის ქუჩა 3

ანოტაცია: მიმდინარე საუკუნეში, რომელიც ინფორმაციულ ხანად იწოდება „სანდო“/საჭირო ინფორმაციის ძებნის პრობლემა დგას. მონაცემთა ბაზებზე დამყარებული პოპულარული საძიებო სისტემები აბრუნებენ დიდი ოდენობის რელევანტურ ინფორმაციას, თუმცა პრობლემა რა ინფორმაციაა სანდო და გამოყენებადი ისევ დგას. შესაბამისად მონაცემთა დამუშავების, კლასიფიკაციისა და ანალიზის კვლავ აქტუალურია.

საჭირო ინფორმაციაზე წვდომის განსახორციელებლად, ძალზედ დიდი მონაცემები (Big Data), როგორც არასტრუქტურული, ასევე ნახევრად სტრუქტურული, რომელთა მოცულობა პეტაბაიტებსა თუ ეგზაბაიტებში იზომება „No Sql“-ად წოდებული მონაცემთა ბაზების მიერ მუშავდება. ბიზნეს ანალიტიკა, რომელიც მოიცავს როგორც ტექნოლოგიებს ასევე მენეჯმენტს ცდილობს აღნიშნული ამოცანის გადაჭრას ისეთი ინსტრუმენტების გამოყენებით როგორებიცაა: მონაცემთა „საწყობები“ (warehouses / Data marts), Hadoop, გამოთვლები მეხსიერებაში (In-memory computing), ანალიტიკური პლატფორმები.

ნაშრომში ჩვენ განვიხილავთ დიდი მოცულობის მონაცემების დამუშავების როგორც რელაციურ ასევე არა-რელაციურ ინსტრუმენტებს (OLAP, Data Mining, Text Mining), განსაკუთრებულად გამოვყოფთ დღეისათვის არსებული გამოწვევების კონტექსტში მონაცემთა წებ დამუშავების (web mining) და კავშირს ვებსა და მონაცემთა ბაზებს შორის.

ლიტერატურა

[1] Kenneth C. Laudon , Jane P. Laudon, Management Information Systems- Global Edition-Pearson Education (2014)